MES 7 20 00409490

27/05/2020

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 13 მაისს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Topic: **vet.authorization**
JoingZoomMeeting
https://us04web.zoom.us/j/665774354?pwd=RE9Pd20xb2g2R2J5dkcvbDhKYUQ4dz09
Zoom Meeting ID: 833 0209 0421

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);
თამაზ ბახტაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
ნინო ტალიაშვილი - დამოუკიდებელი ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ქრისტინე მეფარიშვილი- სსიპ-აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);

თორნიკე ჯობავა- სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ,,ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

ნანი დალაქიშვილი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო ბაბალაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

იურიდიული პირების წარმომადგენლები

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი ,,კონსტრუქტ2“:
თამარ ზაქარაშვილი,
თამთა კვინიკაძე,
მარიამ წივწივაძე.

ა(ა)იპ კოლეჯი განთიადი:
ანა დათუაშვილი,
ლელა სამხარაძე,
ირაკლი მირუაშვილი,
ნათია გოგინაშვილი.

სსიპ კოლეჯ „ოპიზარი“:
ბელა ავალიშვილი,
მაია თედორაძე,
ნათელა აკოფაშვილი.

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:
ირმა ღარიბაშვილი,
თამარ ზარანდია,
თამარ ახალაძე,
ინგა ბაქრაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა, რომ სხდომას ესწრებოდა საბჭოს 9 წევრი (არ ესწრებოდნენ მარიკა ზაქარეიშვილი და ნატო მებურიშვილი) და გამოაცხადა, რომ ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული

გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარის წინადადებით სხდომის მდივნად დასახელდა ნინო ტალიაშვილი.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ იყო რაიმე სახის შუამდგომლობა ან აცილებასთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდა ვინმეს მოსაზრება - დაწესებულებას, ცენტრს ან ექპერტს. უარყოფითი პასუხის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა დაამტკიცეს დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ 2’’-ის პროფესიული მომზადების პროგრამების განხორცი ელების უფლების მოპოვების შესახებ” პროფესიულ მომზადების/გადამზადების პროგრამების განხო რციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2019 წლის პირველი ნოემბრის № 03 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ პროფესიული გადამზადების პროგრამა - საბათქაშე სამუშაოების შესრულება /00468 - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ პროფესიული გადამზადების პროგრამა - დეკორატიული მცენარეების გამრავლება /00461 - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ პროფესიული გადამზადების პროგრამა - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა და კვება /00470 - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარის“ პროფესიული მომზადების პროგრამა - სამკურნალო მცენარეების მომზადება /00548 - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

1. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ 2’’-ის პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ” პროფესიულ მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2019 წლის პირველი ნოემბრის №03 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საკითხი საბჭოზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა, ლანა გაჩეჩილაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე 131-ე დადგენილებით უფლებამინიჭებულ პროგრამაში კონკრეტული ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა არ არის გათვალისწინებული, თუმცა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, განვიხილავთ საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხს. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯმა ,,კონსტრუქტ 2“ -მა 2019 წლის 1

ნოემბერს, საბჭოს გადაწყვეტილებით 11 პროგრამის განხორციელების უფლება მოიპოვა. მათ შორის იყო ეს ორი პროგრამა, რომელთა სახელწოდებაც შეიცვალა. ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული იყო, რომ პროგრამების სახელწოდება არ შეესაბამებოდა პროგრამის შინაარსს. სწორედ ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად კოლეჯმა წარმოადგინა წერილი ცენტრში, 2020 წლის 16 მარტს. შესაბამისად, ითხოვეს შუამდგომლობა საბჭოსთან, აღნიშნული ორი პროგრამის სახელწოდების ცვლილების შესახებ. ამავდროულად, პროგრამაში დაზუსტდა თემატიკა, აღჭურვილობა, მასალების რაოდენობა და ჩამონათვალი. ეს ორი პროგრამაა: 1. მშენებლობაზე ქარგილების მოწყობა. პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით - ,,მშენებლობაზე ქარგილების, კარ-ფანჯრისა და იატაკის მოწყობა“ და 2. მარტივი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება. პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით - ,,ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება“.

საბჭოს წევრს, ნინო ტალიაშვილს სურდა დაზუსტება, ეს იყო მხოლოდ სახელწოდების ცვლილება თუ სხვა ცვლილება განხორციელდა პროგრამაში, რომელიც რაიმე გადამოწმებას საჭიროებდა. ლანა გაჩეჩილაძემ დაუდასტურა, რომ თემატიკის გაფართოება ან რაიმე ძირეული ცვლილება არ მომხდარა პროგრამაში, უბრალოდ დაზუსტდა, დაკონკრეტდა სახელწოდება ამ მიმართულებით. კარ-ფანჯრები დაემატა ერთ პროგრამაში და მეორეშიც სახელწოდება დაზუსტდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ცენტრმა თუ იმუშავა ამ საკითხზე და აპარატს ხომ არ აქვს რაიმე საწინააღმდეგო მოსაზრება ამ ცვლილებასთან დაკავშირებით.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანი დალაქიშვილმა დაადასტურა, რომ ცენტრი ეთანხმება ამ ცვლილებას. მითუმეტეს გამოცხადების მიზნებისთვის, სასურველია შევიდეს გადაწყვეტილებაში ცვლილება, რომ დაწესებულებას ამ ახალი დასახელებით მიეცეს მიღების გამოცხადების უფლება. ამდენად, ცენტრი შუამდგომლობს დაწესებულებას, რომ შეიცვალოს გადაწყვეტილება და აისახოს ამ ორი პროგრამის სახელწოდება წარმოდგენილი სახით.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები და უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, კენჭისყრაზე დააყენაა (ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ 2''-ის პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ” პროფესიულ მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2019 წლის პირველი ნოემბრის №03 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

რადგანაც საბჭოს სხდომის ელექტრონული პროგრამა არ იძლეოდა ცვლილებასთან დაკავშირებით ელექტრონულად ხმის მიცემის საშუალებას, საბჭოს წევრებმა ხმამაღლა დააფიქსირეს თავისი თანხმობა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს ,,ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ 2''-ის პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ" პროფესიულ მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2019 წლის პირველი ნოემბრის №03 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი1).**

2. ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის" პროფესიული გადამზადების პროგრამა - საბათქაშე სამუშაოების შესრულება /00468 - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ირმა ღარიბაშვილი, ლანა გაჩეჩილაძე

პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა.

ა(ა)იპ კოლეჯმა ,,განთიადი" განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გააკეთა განაცხადი, პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით. საგანმანათლებლო დაწესებულება მდებარეობს ქალაქ გორში, ბესიკის ქ. N 2-ში. საგანგებო მდგომარეობის გამო, ვიზიტი ვერ განხორციელდა, მოხდა დისტანციური ჩართვა, რომელიც შედგა 13 აპრილს. საგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზაცია მიენიჭა 2019 წლის 15 აგვისტოს, 6 წლის ვადით და განისაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა-203. გარემო ადაპტირებულია შშმ პირებზე. საგანმანათლებლო დაწესებულებამ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით წარმოადგინა პროფესიული გადამზადების პროგრამა ,,საბათქაშე სამუშაოების შესრულება". პროგრამის ხანგრძლივობაა - 8 კვირა, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვაა - 18 საათი, მთლიანობაში პროგრამის მოცულობაა - 144 საათი. პროფესიული გადამზადების პროგრამის მიხედვით განსაზღვრულია კვოტა - 20 მსმენელი. ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიღება განხორციელდება ორ ეტაპად. ერთჯერადად მიიღებენ 10 მსმენელს. ეროვნული კვალიფიკაციის დონე-მესამე. კოლეჯმა წარმოადგინა ერთი განმახორციელებელი პირის დოკუმენტაცია, რომლის შესწავლაც მოხდა. მას დაუდასტურდა კვალიფიკაცია. აღნიშნული პირი განახორციელებს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას. პრაქტიკის განხორციელებისას კომპანია არ გამოყოფს პირს, რომელიც ადგილზე გაუწევს ზედამხედველობას მსმენელებს, არამედ საგანმანათლებლო დაწესებულების განმახორციელებელი პირი განახორციელებს მათ ზედამხედველობას და სწავლებას.

ინტერვიურება განხორციელდა კოლეჯის დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროგრამის განმხორციელებელთან, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორთან, ასევე კომპანიის წარმომადგენლებთან.

გამოვლენილი იქნა ხარვეზი, რომელიც ეხება შენობის ტექნიკურ შეფასებას.

2.4 ქვესტანდარტი-წარმოდგენილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გაგზავნილი განცხადება (1001003220; 04.02.2020 წ), რომლითაც მოითხოვა კოლეჯის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების ჩატარება. წარმოდგენილია სსიპ -ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მიღებული დოკუმენტის რეგისტრაციის ბარათი. დოკუმენტის რეგისტრაციის ვადა არის 2020 წლის 04 თებერვალი და ექსპერტიზის მომსახურების ვადად განსაზღვრულია 30 სამუშაო დღე. კოლეჯის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების შესახებ. მიზანშეწონილია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების შესახებ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რამდენადაც იცის, დაწესებულებამ მოახერხა დოკუმენტის აღება და ალბათ წარმოადგენდენ საბჭოზე.
რეკომენდაციები:
1.4 ქვესტანდარტი. სასურველია, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში დაკონკრეტდეს სპეციალობა - მებათქაშე.
1.10 ქვესტანდარტი. სასურველია, რომ პროგრამის მეოთხე და მერვე კვირაში შენიშვნის სახით გაიწეროს ინფორმაცია, მსმენელთა შეფასების განხორციელების შესახებ.
2.4. ქვესტანდარტი. მიზანშეწონილია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა, შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების შესახებ.
1.11 ქვესტანდარტი. სასურველია „პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის შერჩევის, ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ განისაზღვროს კონკურსის შემთხვევაში აპლიკანტთა შერჩევის პირობა.
-სასურველია „პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის შერჩევის, ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (კოლეჯის დირექტორის ბრძანება №14.) დანართ 2-ში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, შეფასების კრიტერიუმი „ხედვა გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებით“ მეორდება ორჯერ.
პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციებია: შპს ,,ემ ეს ჯი“ (10 მსმენელი) და შპს ,,ალიტი“ (10 მსმენელი). ორივე კომპანიას შეუძლია მსმენელთა მიღება. ექსპერტმა საბჭოზე წარმოადგინა ფოტო მასალა ორივე კომპანიის და თქვა, რომ როგორც დარგის ექსპერტს, მიაჩნია, რომ კომპანიები უზრუნველყოფენ დასაქმებასაც და აგრეთვე სამუშაო გარემოს ორგანიზების საკითხებს. კოლეჯმა გამოგზავნა A გარემოს ფოტო, სადაც შეუძლიათ ასწავლონ 10 სტუდენტს. ასევე, ბიბლიოთეკის ფოტო, კოლეჯს აქვს სასწავლო რესურსი, როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური სახით და ამ მხრივაც პრობლემას ვერ ხედავს სწავლებასთან დაკავშირებით. ექსპერტმა ასევე წარმოადგინა პროგრამის დაზუსტებული პარამეტრები.

თავმჯდომარე დაინტერესდა, სხდომას თუ ესწრებოდნენ კომპანიები - ,,ემ ეს ჯი“ და ,,ალიტი“. მან აღნიშნა, რომ სამომავლოდაც სასურველია კომპანიის წარმომადგენლები იყვნენ ჩართულები, რომელთანაც კოლეჯს ექნება ხელშეკრულება გაფორმებული, რათა საბჭომ სწორად დაინახოს მათი განზრახვა, სურვილი და რეალური შესაძლებლობა, ნამდვილად არსებობს თუ არა ბიზნესის გაგრძელების შესაძლებლობა და ასევე დასაქმების შესაძლებლობა, რადგან დღეს, კოვიდის გამო სხვა მოცემულობაა და სასურველია, საბჭოს ჰქონდეს ინფორმაცია, რამდენად აქვს ამ კომპანიებს უნარი და შესაძლებლობა გაგრძელონ მუშაობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა დათუაშვილმა აღნიშნა, რომ ეს სამშენებლო კომპანიები არის სტაჟიანი, გამოცდილი, ძლიერი ფინანსურად და ისინი ჩვეულებრივად გააგრძელებენ ფუნქციონირებას. მათ სურვილი ჰქონდათ სხდომაზე ჩართვის, მაგრამ სავარაუდოდ ტექნიკურად ვერ მოახერხეს.

თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა პრაქტიკული და თეორიული კურსის განაწილების შესახებ, რაზეც კოლეჯის ხარისხის სამსახურის მენეჯერმა, ლელა სამხარაძემ უპასუხა, რომ პრაქტიკული კურსი უფრო დიდ ნაწილს მოიცავს, 60-70 %-ს მთლიანი კომპონენტიდან, თეორიული - უფრო ნაკლებს. თეორიული კურსი განხორციელდება კოლეჯში, ხოლო პრაქტიკული კურსი მთლიანად განხორციელდება სამშენებლო ობიექტზე.

საბჭოს წევრ ნიკოლოზ მესხიშვილის კითხვა იყო შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით, რადგან მსგავსი შემთხვევა ბევრ დაწესებულებას შექმნია. რაზედაც ლანა გაჩეჩილაძემ უპასუხა,

რომ N131-ე დადგენილების ცვლილების პროექტი ამ ეტაპზე მომზადებულია და გაგზავნილია შესათანხმებლად. სტანდარტებიდან ამოღებული იქნება შენობის მდგრადობის დასკვნის მოთხოვნა. რაც შეეხება კონკრეტულად ამ ქეისს, დღეს გადმოგზავნა დაწესებულებამ დასკვნა, სადაც წერია, რომ დასკვნა დადებითია. არის რეკომენდაციებიც, რომ მილი უნდა მოწესრიგდეს, რომლის გამო ნალექები ჩაედინება საძირკველში. ამაზე მზაობას გამოხატავს დაწესებულება, რომ მოაწესრიგებენ. ლანამ საბჭოს გაუზიარა და წაიკითხა შენობის მდგრადობის დასკვნა, რომელიც დაწესებულებამ გამოგზავნა.

ცენტრის წარმომადგენელმა ნანი დალაქიშვილმა დაადასტურა, რომ მომზადებულია უკვე N131-ში ცვლილებები და გადაგზავნილია სამინისტროში და ელოდებიან ყველაზე საჭირო და აუცილებელ ცვლილებას, რაც ხელს შეუწყობს ამ პროგრამების განხორციელებას, თუმცა ფიქრობს, რომ ძალიან ლოიალურსაც არ გახდის კანონმდებლობას. ასევე მან დაამატა, რომ ეს კოლეჯი განთავსებულია გორის უნივერსიტეტის შენობაში. უნივერსიტეტი ავტორიზებულია, და ეს პრობლემა ალბათ არ უნდა იყოს. ასე რომ კარგი პრეცედენტია, რომ ვითხოვთ და ამ შენობაზე უკვე არსებობს ასეთი დასკვნა.

თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ხარვეზი, დაკავშირებული 2.4 ქვესტანდარტთან მოხსნილია, რაც დაადასტურეს ექსპერტებმა და დაინტერესდა რეკომენდაციებთან დაკავშირებით, ექსპერტების და დაწესებულების პოზიციით.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციებთან დაკავშირებით ცალსახად ეთანხმება ექსპერტს, რადგან ერთობლივად არის მომზადებული. მისთვის საინტერესოა, რას ფიქრობენ დაწესებულების წარმომადგენლები, იზიარებენ თუ არა მათ მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა სამხარაძემ თავისი პოზიცია გამოთქვა რეკომენდაციებთან დაკავშირებით. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ რადგან კომპანია ფიქრობს გადაამზადოს თავისი საკუთარი თანამშრომლები, ფიქრობს ამით შეზღუდავს მათ უფლებებს, რადგანაც ამ ადამიანებს მებათქაშის კვალიფიკაცია ან გამოცდილება არ უდასტურდებათ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს პროგრამა რომ იყოს მომზადების, ასეთ შემთხვევაში, არანაირი პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ ეს არის გადამზადების პროგრამა და ასეთ შემთხვევაში ის პირები უნდა გადამზადდენ, ვისაც ნამუშევარი აქვთ გარკვეულწილად ამ მიმართულებით. აქედან გამომდინარე, გამოცდილება დგინდება ინტერვიურებისას, შერჩევის პროცესში.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანი დალაქიშვილმა გააკეთა კომენტარი, რომ ქალბატონი ირმა ამ სფეროს ძალიან გამოცდილი ექსპერტია, იცის რა მდგომარეობაა დღევანდელ სამშენებლო სექტორში. ფიქრობს, ბევრ შემთხვევაში, ბევრ სამშენებლო კომპანიაში მებათქაშის პოზიციაზე დასაქმებულ ადამიანებს შესაბამისი კვალიფიკაცია ნაკლებად შეიძლება ჰქონდეთ, ეს პრობლემა არის მასიურად საქართველოში, რომ შეიძლება რეალურად კვალიფიციური კადრია, მაგრამ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი არ აქვს. ექსპერტი გულისხმობს ალბათ არა დამადასტურებელ დოკუმენტს, არამედ გარკვეულ სამუშაო გამოცდილებას, კონკრეტული მიმართულებით. დაწესებულება ალბათ გაიზიარებს და შერჩევის დროს ამას გაითვალისწინებს, რასაც ექსპერტი დაეთანხმა და თქვა, რომ ზუსტად ეს იგულისხმა.

ლანამ გაჩეჩილაძემ უპასუხა, რომ ამაზე საუბარი ჰქონდათ და სრულიად საკმარისი იქნება გასაუბრების დროს, შერჩევის კრიტერიუმები სწორად ექნეთ შერჩეული, რითაც შეძლებენ გამოავლინონ აქვს თუ არა წინარე გამოცდილება მსმენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომპანიები თვითონაც იტყოდნენ ამის შესახებ, მაგრამ ტექნიკურად ვერ მოახერხეს საბჭოზე ჩართვა. რაც შეეხება ასაკს, 18 წლის შეზღუდვა ჩადეს სწორედ იმიტომ, რომ მათ კომპანიებს სურს გადაამზადოს ის პირები, რომლებიც სრულწლოვნები არიან. 18 წელთან დაკავშირებით არანაირი რეკომენდაცია არ ყოფილა, ეს იყო სავსებით მისაღები, აღნიშნა ლანა გაჩეჩილაძემ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა 1.10 ქვესტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციით, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა სამხარაძემ უპასუხა, რომ ცვლილების დრაფტი უკვე მზად აქვთ და გათვალიწინებულია რეკომენდაცია.

1.11 სტანდარტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით ნათია გოგინაშვილმა უპასუხა, რომ მათ აქვთ ასეთი შემთხვევისთვის, გასაუბრება. შერჩევა გასაუბრების გზით. დგება შესაბამისი კომისია, წერენ ქულებს, მინიმალური ქულა 5-ია და მაქსიმალური - 15. აქვთ ასევე შერჩევის კრიტერიუმები, რის საფუძველზეც ხდება გასაუბრება.

საბჭოს წევრ, ნინო ტალიაშვილს რამდენიმე შეკითხვა ჰქონდა დაწესებულების წარმომადგენელთან. მას აინტერესებდა კონკურს თუ ატარებდნენ, რა არის მათი ხედვა თანაბარქულიანი აპლიკანტების შემთხვევაში და თუ კონკურსია, ასეთ შემთხვევაში, ყველაზე მაღალ ქულიანი აპლიკანტების ჩარიცხვა ხდება თუ არა და ამ პროგრამის შემთხვევაში, დახურულ კონკურსს აცხადებენ თუ ღიას. ასევე, აინტერესებდა რადგანაც მხოლოდ ერთი განმახორციელებელი ჰყავთ თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილში, რამდენად არის საკმარისი ერთი პირი. სამომავლოდ, ალბათ სასურველი იქნებოდა კიდევ ერთი პირის დამატება, რათა არ მოხდეს პროცესის შეფერხება.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა ზემოთ აღნიშნულ კითხვებს, რომ დამსაქმებელთან შეთანხმებით, ამჟამად აქვთ ღია კონკურსი. ყველაზე მაღალ ქულიან აპლიკანტებს რიცხავენ პირველ რიგში და ეს ხდება დამსაქმებელთან შეთანხმებით, მათი თანხმობით. კომპანიას სურს თავისი კადრის გადამზადება, მაგრამ მისი ნებაა და თანხმობა, რომ გარედან შემოსულ ხალხსაც მისცეს გადამზადების უფლება. ამიტომ, ამ ეტაპზე კონკურსი ექნებათ ღია. დასაქმების მზაობაც არის. რაც შეეხება ერთ განმახორციელებელ პირს, ამასთან დაკავშირებით პრობლემას ვერ ხედავენ იმიტომ, რომ კოლეჯი აპირებს ერთი ჯგუფის მიღებას, სადაც 10 მსმენელი იქნება და განმახორციელებლის მხრიდან პრობლემა არ იქნება.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები და უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ პროფესიული გადამზადების პროგრამა-საბათქაშე სამუშაოების შესრულება/00468 განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.
აქვე აღინიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა გამოქვეყნების თარიღიდან.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულებისმიერ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების

მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადს“ (ს/კ: 217890192) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - საბათქაშე სამუშაოების შესრულება /00468 **(დანართი 2).**

3. ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ პროფესიული გადამზადების პროგრამა - დეკორატიული მცენარეების გამრავლება /00461 - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, იცნობდნენ თუ არა საბჭოს წევრები ექსპერტთა დასკვნას და წარმოების მასალებს, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო.

წარმდგენები: თამარ ზარანდია, ლანა გაჩეჩილაძე (ლანა გაჩეჩილაძემ საბჭო დატოვა პირადი მიზეზის გამო).

პრეზენტაცია წარადგინა თამარ ზარანდიამ. მან საუბარი დაიწყო ხარვეზით, რომელიც გამოვლინდა:
2.2 ქვესტანდარტი - პროგრამა არ არის სრულყოფილად უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შპს ,,ნაკადულისთვის“ და სსიპ ნიკო ბაგრატიონის(ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის №1 საჯარო სკოლისთვის. შპს ნაკადულისთვის აღნიშნულ ჩამონათვალში მითითებულია 5ც სამყნობი დანა, 5ც ბაღისმაკრატელი, 5ც სეკატორი, 2ც დიდი ზომის მაკრატელი, ბუჩქის დაყოფისთვის, სკოლისთვის-5ც სამყნობი დანა, 5ც ბაღის მაკრატელი, 3ც სეკატორი, 2ც დიდი ზომის მაკრატელი, ბუჩქის დაყოფისათვის, მაშინ როცა სწავლის შედეგების მისაღწევად მსმენელებს პრაქტიკის მიზნებისთვის ინდივიდუალურად სჭირდებათ სამყნობი დანა და მაკრატელი.
მეორე ხარვეზი წინა საკითხის ფარგლებში განხილული ხარვეზის იდენტურია, კერძოდ 2.4 ქვესტანდარტი - წარმოდგენილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გაგზავნილი განცხადება (1001003220; 04.02.2020 წ), რომლითაც მოითხოვა კოლეჯის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების ჩატარება. წარმოდგენილია სსიპ- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მიღებული დოკუმენტის რეგისტრაციის ბარათი. დოკუმენტის რეგისტრაციის ვადა არის 2020 წლის 04 თებერვალი და ექსპერტიზის მომსახურების ვადად განსაზღვრულია 30 სამუშაო დღე. კოლეჯის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების შესახებ. მიზანშეწონილია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების შესახებ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ არც კოლეჯს და არც მის პარტნიორ კომპანიებს არჰქონდათ დახურული გრუნტი და ზოგადად, დეკორატიული მცენარეების გამრავლებასთან დაკავშირებით აუცილებელია გათვალისწინებული იქნას სეზონურობა. ნებისმიერ დროს პროგრამის განხორციელება არ არის მიზანშეწონილი.

თუმცა დისტანციური ვიზიტისას, მოხდა გასაუბრება განმახორციელებელ პირთან, პრაქტიკის ადგილის ფოტო მასალა დაათვალიერა და როგორც დარგის ექსპერტი, თვლის, რომ შესაძლებელია ამ პროგრამის განხორციელება არსებულ ბაზაზე.

საბჭოს წევრი, ნინო ტალიაშვილი დაინტერესდა რამდენად მნიშვნელოვანია დახურული გრუნტის არ ქონა და ხარვეზი, მატერიალური რესურსის ნაკლებობა, როგორ გავლენას მოახდენს პროგრამის განხორციელებაზე. რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, რომ დახურული გრუნტის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს შეიძლება დეკორატიული მცენარის გამრავლება. იანვარში, ზამთრის პერიოდში შეუძლებელი იქნება ამ პროგრამის განხორციელება ღია გრუნტის შემთხვევაში. აუცილებელია სეზონის გათვალისწინება.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა დაწესებულების წარმომადგენელი რას ფიქრობს რეკომენდაციებზე, ეთანხმება თუ არა ექსპერტს, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ რაც შეეხება მატერიალური რესურსების ხარვეზს, მაკრატლებს, ინსტრუმენტებს, ეს ხარვეზი გამოსწორებულია და საკმარისზე მეტი რაოდენობაც არის. რაც შეეხება სეზონურობას, ცხადია ეს პროგრამა ზამთარში ვერ განხორციელდება. ამიტომ პროგრამის განხორციელება დაგეგმილი აქვთ სეზონების მიხედვით, როცა შესაძლებელია ღია პირობებში განხორციელდეს ეს პროგრამა. დახურული გრუნტი არ აქვთ არც ერთ ადგილზე. ორივე ობიექტზე - მუხრანში და კოლეჯ ,,განთიდში“ პროგრამა განხორციელდება სეზონურობის გათვალისწინებით.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2.4 სტანდარტის ხარვეზთან დაკავშირებით, შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით, იგივე საკითხია და აღარ მოხდება განხილვა, მატერიალური რესურსები წარმოდგენილია, სეზონურობაც გათვალისწინებული იქნება.

საბჭოს წევრ გიორგი გამყრელიძის აზრით, მიიღეს პასუხი, რომ პირიქით, სეზონურობა არ იქნება გათვალისწინებული და მოუწევთ მუშაობა. რადგანაც საუბარია დეკორატიულ მცენარეებზე, დეკორატიული მცენარეები, განსხვავებით სხვა მცენარეებისა, მოითხოვენ ჩვეულებრივად, დახურულ გრუნტს. აქ არის ერთი რამ გასათვალისწინებელი, თუკი აქვთ ამორჩეული ისეთი დეკორატიული მცენარეები, რომლებზედაც თვითონ არიან ფოკუსირებული, ეს სხვა თემაა. მაგრამ თუკი საუბარია ზოგადად კორატიულ მცენარეებზე, ის აუცილებლად მოითხოვს შიდა გრუნტს. მაგრამ თუკი შერჩეულია წინასწარ რომელ დეკორატიულ მცენარეზეა საუბარი, მაშინ ამოსავალი ეს უნდა იყოს, ეს სერიოზული საკითხია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირაკლი მირუაშვილმა განმარტა, რომ მნიშვნელოვანია დახურული გრუნტის არსებობა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ამ საკითხზე გაიარეს კონსულტაციები და რეკომენდაციები დამსაქმებლებთან, და მათი სამუშაო პირობები და სანაშენო ბაღი არის მცენარეების დაკალმვასთან და სხვა მსგავს პროცედურებთან შესაბამისი, საკმაოდ დიდ ფართობზეა გაშენებული სანაშენო ბაღი, კარგად მოწყობილი, ყველაფერია მცენარეების გამრავლებასთან დაკავშირებით და ამასთან დაკავშირებით არ გასჩენიათ კითხვა.

საბჭოს წევრ ნიკოლოზ მესხიშვილის თქმით პასუხი არ არის საკმარისი, გამომდინარე იქედან, რომ არ ვსაუბრობთ რამდენი ჰექტარია ფართობი, რადგან რაოდენობაზე არ არის საუბარი, არამედ სასწავლო პროცესზე, რომ ადამიანებმა ისწავლონ. ალბათ უნდა დაზუსტდეს რა არსებულ ჯიშებზეა საუბარი, რომ ღია გრუნტზე მოხდეს მათი სწავლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ყველა ჯიში განიხილება, ნაძვი, ძირითადად კიპაროსები, გაზონები, პირამიდული ტუიები, ყველა ჯიში, რომელიც შესაძლებელია გამრავლდეს ღია გრუნტში. ამ პროგრამის განხორციელებას დამსაქმებლებთან ერთად აპირებენ

და აქვთ ღია გრუნტში დეკორატიული მცენარეები, რომელიც გათვალისწინებულია მათი სანაშენო ბაღისთვის.

საბჭოს წევრ, გიორგი გამყრელიძის აზრით, მაშინ სახელწოდებაშიც უნდა იყოს ცვლილება და პირდაპირ უნდა იყოს მითითებული, რომ მხოლოდ ღია გრუნტში განხორციელდება სწავლება, იმიტომ, რომ როგორც ექსპერტმაც აღნიშნა, უშუალოდ ეს მცენარეები და კულტურული ჯიშები უშუალოდ იქნება დაკავშირებული ღია გრუნტთან და არ უნდა მოიაზრებოდეს ყველა იმ ჯიშის მცენარე, რომელიც შეიძლება დეკორატიულად ჩავთვალოთ, იმიტომ, რომ საქართველო არ არის ისეთი კლიმატური სარტყელის ქვეყანა, სადაც ყოველთვის შესაძლებელია მცენარეების კულტივიზაცია. მაშინ უნდა იყოს უფრო დაკონკრეტებული და ფოკუსირებული თემატიკაზე, რომ იყოს რეალური შედეგი.

ექსპერტმა დაამატა, რომ ზოგადად ღია გრუნტში არის დეკორატიული მცენარეები განთავსებული და ეს ადამიანები დაინტერესებული არიან ამ პროგრამის შექმნით, მუშაობენ და გარკვეული გამოცდილება აქვთ და ადამიანები გამოცდილების გარეშე არ მოდიან გადამზადების ჯგუფში სასწავლებლად. აქედან გამომდინარე, დახურული გრუნტის გარეშეც შეძლებენ ისინი სწავლების პროცესის განხორციელებას და მისი აზრით, პროგრამის შინაარსი აბსოლუტურად ესადაგება პროგრამის სახელწოდებას. მაგრამ თუკი ეს რეკომენდაციის სახით იქნება პროგრამაში ჩადებული, რომ ღია გრუნტში სეზონურად ასწავლიან, შესაძლებელია.

ირაკლი მირუაშვილმა დააზუსტა, რომ მათ ამ პროგრამაზე მუშაობისას ძალიან ბევრი შეხვედრები ჰქონდათ იმ ადამიანებთან, ვისაც ეს ბაღები, მცენარეები ჰქონდათ გაშენებული. მათი გამოცდილება ჰქონდათ მხედველობაში. სასწავლო პროცესი, რათქმა უნდა, ვერ განხორციელდება ზამთარში, არამედ, როდესაც აქტიური სეზონი იქნება ამ ჯიშის მცენარეების გამრავლებისთვის.

საბჭოს წევრ გიორგი გამყრელიძის აზრით, მისთვის ცოტა ბუნდოვანია. მაგალითად, ვისაც უყვარს კალათბურთი, კალათბურთი არის სპორტი, რომელსაც თამაშობენ ყველა პერიოდში - წვიმაა, ქარია, ავდარია, ზამთარია, ზაფხულია, სულ თამაშია, იმიტომ რომ აქ არ არის გათვალისწინებული რაიმე სხვა შესაბამისი. როდესაც სახელწოდება ახსენა, ახსენა იმიტომ, რომ ის შინაარსთან არის დაკავშირებული. მეორეა თემატიკა. როდესაც ვამბობთ, რომ ეს შესაძლებელია სეზონურად განხორციელდეს, ეს მისთვის არის ბუნდოვანი და არამდგრადი. იმიტომ რომ, როდესაც სასწავლო პროცესთან არის დაკავშირებული, უნივერსიტეტში ხომ არ მივდივართ მარტო მაშინ, როდესაც კარგი ამინდია, მივდივართ ყოველ დღე. ან იგივე, სამსახურში რომ მივდივართ ყოველდღე. აქედან გამომდინარე, მისთვის ცოტა უცნაურია, როდესაც საუბარია მარტო ისეთ კულტურებზე, და ვთქვათ ისეთ დეკორატიულ ჯიშებზე, რომელიც შესაძლებელია ღია გრუნტზე მოვიყვანოთ, არ ვსაუბრობთ რეალურ საკითხზე, რა გვინდა რომ ვასწავლოთ. ჩვენ უნდა ვასწავლოთ ის, რაც ვიცით და როცა გვინდა და რა მცენარეებზე არის ორიენტირებული. მაშინ როცა საკითხი უფრო მეტად სასწავლო პროცესთან უნდა იყოს დაკავშირებული, ვიდრე მაგალითად, ასე საველე პირობებში, ბუნებრივი პირობების შემხედვარე.

ცენტრის წარმომადგენელი, ნანი დალაქიშვილი შეეკითხა საბჭოს წევრ გიორგი გამყრელიძეს - თქვენთვის ბუნდოვანია ექსპერტის პოზიცია თუ დაწესებულების განმარტება? პასუხი იყო - ორივე ერთდროულად. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაემეორებინა და შემდეგ დაწესებულებას კიდევ ერთხელ წარმოედგინა პოზიცია ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რადგან ორივე პასუხი მისთვისაც ბუნდოვანია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა სამხარაძემ დააკონკრეტა თავისი პოზიცია. მან თქვა, რომ არსებობს ისეთი სასწავლო პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია სეზონურობასთან. როგორი სურვილიც არ უნდა იყოს, მთელი წლის განმავლობაში განვახორციელოთ მაგალითად, მეხილეობაში სხვლის პროგრამა, ამას ვერ შევძლებთ ვერც ზამთარში და ვერც ზაფხულში, რადგან ამას გააჩნია თავისი პერიოდი. აქედან გამომდინარე, იგივე პრობლემა დადგება ამ პროგრამასთან დაკავშირებით. დეკორატიული მცენარეების პროგრამის გამოცხადებას არ აპირებენ ზამთარში, როცა ეს შეუძლებელია ღია გრუნტის შემთხვევაში, მაგრამ გამოაცხადებენ ამ პროგრამაზე მიღებას და სწავლის განხორციელებას გეგმავენ იმ პერიოდში, როდესაც შესაძლებელი იქნება ღია გრუნტში მუშაობა. ეს არის დაწესებულების პოზიცია.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ექსპერტის რეკომენდაცია ასეთია - სასურველია პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებული იქნას სეზონურობა, ვინაიდან პრაქტიკის ობიექტებს არ გააჩნია დახურული გრუნტი. იქნებ ექსპერტს მოვუსმინოთ, რამ გამოიწვია ამ რეკომენდაციის გაცემის აუცილებლობა და საჭიროება.

ასევე საბჭოს წევრმა, ნინო ტალიაშვილმა იკითხა, მაშინ პროგრამა როგორაა აგებული, ამაზეც ხაზი რომ გაუსვას ექსპერტმა, ვინაიდან რეკომენდაცია გასცა, რომ სასურველია სეზონურობის დაცვა, ამაზე თუა პროგრამაში რამე აღნიშნული. ექსპერტმა გააკეთა განმარტება, თუ გამზადებული კალმებია, დავუშვათ, ვეგეტატიური გამრავლების დროს გამზადებული კალმებია, მაშინ ნებისმიერ დროს შეიძლება დახურულ გრუნტში, მაგრამ კალამი რომ ავიღოთ, ამისთვის სეზონურობაა აუცილებელი. იანვრის თვეში კალმებს ვერ ავიღებთ, იგივე ტუიასი, ან ნებისმიერი დეკორატიული მცენარის კალმების აღებას სჭირდება ივლისი, სექტემბერი ან ოქტომბრის თვე. ამდენად სეზონურობა გათვალისწინებული უნდა იყოს. თესლის აღებაც, ზოგი სახეობის თესლი ნოემბერში შეიძლება ავიღოთ, ზოგი უკვე აღებულია მანამდე. ამიტომ უნდა მოხდეს სეზონურობის გათვალისწინება სახეობების მიხედვით.

ნანი დალაქიშვილმა ისევ დასვა კითხვა - პროგრამა ექვსკვირიანია. როგორ ურჩევდით დაწესებულებას, როდის შეიძლება დაიწყოს/განაწილდეს 6 კვირა, ისე, რომ შეძლონ პროგრამის ფარგლებში დაიფაროს მისაღწევი სწავლის შედეგები.

ექსპერტის თქმით, პროგრამა განხორციელდება ჯგუფისთვის ერთჯერადად და ის ჯგუფი მოემზადება იმ სახეობებზე, რომელზე მუშაობაც არის შესაძლებელი იმ პერიოდში.

საბჭოს წევრს, ნინო ტალიაშვილს რამდენიმე კითხვა ჰქონდა: აინტერესებდა პროგრამა გარკვეულწილად გადასაწყობი იყო თუ არა და განიხილებოდა თუ არა დახურული გრუნტის მოწყობის საკითხი?

ექსპერტის პასუხი პირველ კითხვასთან დაკავშირებით იყო, რომ დარგის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ გადასაწყობი არ არის პროგრამა, რაღაც პერიოდები არ შეიძლება ვასწავლოთ ეს პროგრამა. ხოლო დახურული გრუნტის მოწყობის საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლის, ანა დათუაშვილის პასუხი იყო, რომ ისინი დამსაქმებლებთან ერთად ახორციელებენ ამ პროგრამას და მათი ინტერესი არის ღია გრუნტი.
ნინო ტალიაშვილი დაინტერესდა, თუ გარემო პირობებმა შეუშალათ ხელი და პროგრამა გამოცხადებული აქვთ, მაშინ რა ხდება, გადავადდება განხორციელება? შეიძლება ჩავარდეს კიდევაც პროგრამის განხორციელება, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 6 კვირიანი პროგრამა არ არის დიდი და ნებისმიერი პროგრამა, რომელიც სოფლის მეურნეობას უკავშირდება, მეტ-ნაკლებად ბუნებრივ პირობებზეა დამოკიდებული.

ნინო ტალიაშვილის შემდეგი კითხვა იყო ექსპერტთან. იმისთვის რომ პროგრამა განხორციელდეს შეუფერხებლად, არსებული მოცემულობით, რა არის გასასწორებელი, რა უნდა ჩასწორდეს, პროგრამის შინაარსი რამდენად იქნება შესაბამისობაში, რაიმე ხომ არ უნდა გადაიხედოს პროგრამაში, იგივე მცენარეთა ჯიშები, რაღაც ცვლილებები შეიძლება იყოს პროგრამაში? - რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, რომ უბრალოდ უნდა ჩაიწეროს ის, რომ გათვალისწინებული იყოს სეზონურობა, მეტი სხვა არაფერი. პროგრამას აქვს წინაპირობად, რომ გარკვეული გამოცდილების მქონე ადამიანები მოდიან. მთლიანად დეკორატიული მცენარეების სწავლება 6 კვირის განმავლობაში შეუძლებელია. ნებისმიერ მცენარეზე შეიძლება თეორიულად მუშაობა, მაგრამ პრაქტიკულად - შეუძლებელია. წლის განმავლობაში მცენარის გამრავლება 8-9 თვე შეიძლება სხვადასხვა მეთოდით და 6 კვირის განმავლობაში შეუძლებელია ყველა სახეობას შევეხოთ და არც არის მოთხოვნა ნებისმიერ დეკორატიული მცენარის გამრავლებას სწავლობდნენ. სეზონურობის გარდა, ჯიშების გათვალისწინებაც შესაძლებელია მოხდეს. სახეობები შეიძლება მსმენელებთან შეთანხმდნენ, ისე, რომ წინასწარ არ ჰქონდეთ დაკონკრეტებული, ეს შესაძლებელია. ის თვლის, რომ ეს ადამიანები იმსახურებენ შანსის მიცემას. რაზეც ნინო ტალიაშვილმა უპასუხა, წინააღმდეგი არც თვითონ არის, უბრალოდ რეგულაციის ფარგლებში უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება.

საბჭოს წევრ, ნიკოლოზ მესხიშვილის კითხვა იყო ექსპერტთან - ტუიებზე იყო საუბარი და სხვა მრავალწლიან მცენარეზე, ღია გრუნტში, სეზონურობის გათვალისწინებით. მან თქვა, რომ არ არის ამ დარგის ექსპერტი, თუმცა გაეცნო ლიტერატურას და დააზუსტა საკითხი, რომ ტუიები სეზონურობიდან გამომდინარე ღია გრუნტში შეიძლება რომ მოვიყვანოთ, თუმცა ჩითილების გამოყვანა ღია გრუნტში სეზონურად ხდება. ის შეეკითხა ექსპერტს, თუა პროგრამაში დასახელებული ისეთი მცენარეების, ყვავილების სახეობები, რომლის მოყვანაც ღია გრუნტში არ ხდება. - ექსპერტის მხრიდან ამ კითხვაზე პასუხი იყო უარყოფითი. ასეთი ჩანაწერი პროგრამაში არ არის. რა მცენარეც მრავლდება, ნებისმიერი მცენარის მოყვანა შეიძლება ღია გრუნტში, რათქმა უნდა სეზონის გათვალისწინებით და გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით. დაკონკრეტებული მცენარეთა სახეობები არ ყოფილა.
როგორც საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ მესხიშვილმა თქვა, ექსპერტი ამბობს პროგრამის გადაწყობა საჭირო არ არისო და უნდა ვიფიქროთ შეიძლება თუ არა მივიღოთ ეს პროგრამა მხოლოდ სეზონურობის გათვალისწინებით, ის ასევე დაინტერესდა იყო თუ არა რაიმე საჩრდილობელი პრაქტიკის ადგილზე. -აღმოჩნდა, რომ არ იყო საჩრდილობელი.

ცენტრის წარმომადგენლმა, ნანი დალაქიშვილმა თქვა, რომ სასურველი იყო და ვთხოვეთ კიდეც პარტნიორები ჩართული ყოფილიყვნენ სხდომაზე. პარტნიორი კომპანიების ჩართვა საბჭოს მიმდინარეობაში ვერ მოხერხდა.

მსჯელობის შემდგომ საბჭოს წევრებმა სათათბირო დრო გამოიყენეს და საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ბევრი იმსჯელეს საბჭოს წევრებმა, რადგან ბევრი კითხვის ნიშანი იყო და არ უნდოდათ დაეზარალებინათ არც დაწესებულების ინტერესები და არც ადმინისტრაციული ორგანოსი. ამიტომ გადაწყვიტეს, გადადონ სხდომა, რადგან ამ სხდომაზე არ მიეცათ შესაძლებლობა საკმარისი ინფორმაცია ჰქონოდათ იმისათვის, რომ მიეღოთ უარყოფითი ან დადებითი გადაწყვეტილება. არც ერთი მხარე რომ არ დაზარალდეს, მიიღეს გადაწყვეტილება გადადონ სხდომა იმისთვის, რომ მიიღონ მეტი ინფორმაცია, აუცილებლად უნდათ მოუსმინონ დამსაქმებლებსაც და ლანა გაჩეჩილაძესაც, რათა მიიღონ სათანადო დეტალური ინფორმაცია, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება გადაწყვეტილების მიღება.

სამჭომ გადაწყვიტა საკითხის ხელახალი განხილვა მოხდეს უახლოეს საბჭოს სხდომაზე.

4. ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ პროფესიული გადამზადების პროგრამა - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა და კვება /00470 - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენები: თამარ ახალაძე, ელისო ბარბაქაძე

თამარ ახალაძემ წარადგინა პრეზენტაცია. ა(ა)იპ-კოლეჯი ,,განთიადის'' მიერ 2020 წლის 17 თებერვალს, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, წარმოდგენილი იქნა განაცხადი პროფესიული გადამზადების პროგრამის „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა და კვება“ განორციელების უფლების მოპოვების შესახებ 2020 წლის 3აპრილის №328614 ბრძანების საფუძველზე, 2020 წლის 16 აპრილს კოლეჯ „განთიადის“ და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან განხორციელდა ჩართვა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. დარგის ექსპერტის მიერ წინასწარ იქნა შესწავლილი პროფესიული გადამზადების პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაციაც, მათ შორის ინფორმაცია(ფოტომასალა) A და C გარემოს შესახებ, სასწავლო რესურსის შესახებ და სხვა.
ექსპერტმა წარმოადგინა ხარვეზები:
1.6. ქვესტანდარტი. სასწავლო პროგრამაში წარმოდგენილი მე-5 სწავლის შედეგი - „სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის სანიმუშო ულუფის შედგენა“-არ არის აღწერილი ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით და კომპეტენციით. მისი მიღწევა შეუძლებელია პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში.
1.7. ქვესტანდარტი. სასწავლო პროგრამაში წარმოდგენილი მე-5 სწავლის შედეგი „სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის სანიმუშო ულუფის შედგენა“ მოითხოვს სხვადასხვა საკითხის კომპლექსურ ცოდნას. სანიმუშო ულუფის შედგენას სჭირდება კვების სპეციალისტის მაღალი კვალიფიკაცია დაკომპეტენცია, რომლის მიღწევაც ვერ მოხერხდება პროგრამით გათვალისწინებული დროის პერიოდში (12 საათში);
2.4 ქვესტანდარტი. ეს არის იგივე ხარვეზი, რაც წარმოდგენილი იყო უკვე დღეს. წარმოდგენილია სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გაგზავნილი განცხადება (1001003220;04.02.2020წ), რომლითაც მოითხოვა კოლეჯის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების ჩატარება. წარმოდგენილია სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულბიუროში მიღებული დოკუმენტის რეგისტრაციის ბარათი. დოკუმენტის რეგისტრაციის ვადა არის 2020 წლის 04 თებერვალი და ექსპერტიზის მომსახურების ვადად განსაზღვრულია 30 სამუშაო დღე.
კოლეჯის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების შესახებ.
გაცემული იქნა რეკომენდაციები:
1.6. სასურველია ყველა სწავლის შედეგი გაწერილი იყოს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კვებასთან და არა ზოგადად სასოფლო სამეურნეო ცხოველთა კვებასთან დაკავშირებით. რადგან სასწავლო პროგრამა ეხება მხოლოდ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვის კვებას.
1.6. 1.7. მიზანშეწონილია, სწავლის შედეგი „სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის სანიმუშო ულუფის შედგენა“ ჩანაცვლდეს ისეთი სწავლის შედეგით, რომელიც იქნება ადეკვატური და დროში მიღწევადი. პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით და კომპეტენციით.
1.8. სწავლების მეთოდები უნდა უზრუნველყოფდეს მსმენელისათვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, რაც მოქმედების რამოდენიმეჯერ განმეორების აუცილებლობას გულისხმობს. ჯგუფი გათვლილია 10 მსმენელზე. შესაბამისად, დრო რომელიც გამოყოფილია ცალკეული სწავლის შედეგების მისაღწევად (თეორიული მასალის სწავლება/ლექცია, პედაგოგის მიერ პრაქტიკული სავარჯიშოს დემონსტრირება/ჩატარება, შეფასება) არ არის საკმარისი. სასურველია, გონივრულად განისაზღვროს სწავლის შედეგების მისაღწევი დრო.

2.1. სასწავლო პროგრამას ჰყავს მხოლოდ ერთი პედაგოგი/განმახორციელებელი პირი. სასწავლო პროცესისა და პროგრამის მდგრადობის მიზნით სასურველია, პრაქტიკის ობიექტიდან ჩართული იყოს ერთი სპეციალისტი მაინც, რომელიც განახორციელებს მსმენელების პრაქტიკული ნაწილის სწავლებას.
2.4. მიზანშეწონილია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების შესახებ.
3.2. სასურველია „პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის შერჩევის, ჩარიცხვისა დასასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ განისაზღვროს კონკურსის შემთხვევაში აპლიკანტთა შერჩევის პირობა. სასურველია „პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის შერჩევის, ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (კოლეჯის დირექტორის ბრძანება №14.) დანართ 2-ში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, შეფასების კრიტერიუმი „ხედვა გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებით“ მეორდება ორჯერ.
შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის შესახებ, დაზუსტებულ ინფორმაციაზე: პროგრამის კოდი-00470, პროგრამის სახე-პროფესიული გადამზადება, კვალიფიკაციის დონე-მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში-8, სწავლების ენა-ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა-20, განხორციელების ადგილი- ქ.გორი, ბესიკის ქ. N2.
პარტნიორი არის ინდ/მეწარმე გივი აბალაკი, რომელიც მზად არის ჩაერთოს სასწავლო პროცესში და პარტნიორობა გაუწიოს კოლეჯს ამ პროგრამის განხორციელეის საქმეში.
ექსპერტმა დაამატა, რომ კოლეჯმა გაითვალისწინა რეკომენდაცია და წარმოადგინა პროექტი, სადაც გათვალისწინებულია რეკომენდაციები, რომელზედაც მათთან იყო საუბარი.

საბჭოს წევრ ნინო ტალიაშვილს აინტერესებდა რამდენიმე საკითხი. კერძოდ, ექსპერტმა თქვა, რეკომენდაციები გამოასწორა დაწესებულებამო, გადმოგზავნილია და ნანახი აქვს ეს რეკომენდაციები ექსპერტს? შემდეგი კითხვა ეხებოდა, ერთ განმახორციელებელ პირს და რომ პრაქტიკის ობიექტიდან არავინ არის ჩართული და ასეთი მოცემულობით რამდენად არის შესაძლებელი შეუფერხებლად პროგრამის განხორციელება და სწავლის შედეგების მიღწევა?

ექსპერტმა უპასუხა კითხვებს. მან დაუდასტურა, რომ გადმოგზავნილია დაწესებულების მხრიდან პროექტი, თუმცა ეს არ არის დამტკიცებული პროგრამა. რაც ეხებოდა, ერთ განმახორციელებელ პირს და რომ პრაქტიკის ობიექტიდან არავინ არის ჩართული, ამასთან დაკავშირებით ექსპერტმა უპასუხა, რომ მათ არ ჰყავთ წარმომადგენელი პრაქტიკის ობიექტზე, რომელიც ამ პროცესში ჩაერთვება. სასურველია იყოს მეორე პირიც პარტნიორი ორგანიზაციიდან. -სასურველია თუ აუცილებელია რეალურად? ჩაეკითხა საბჭოს წევრი. -სასურველია, უპასუხა ექსპერტმა, რადგან ქალბატონს, რომელიც არის წარმოდგენილი პროგრამის პედაგოგად, გააჩნია როგორც პრაქტიკული, საწარმოში მუშაობის გამოცდილება, ასევე თეორიული ბაზაც აქვს იმისთვის, რომ ეს პროგრამა განახორციელოს და საუბარია ათ სტუდენტზე, ერთჯერადად, ჯამში -20 სტუდენტი. არის შესაძლებელი, მაგრამ სასურველია იყოს პრაქტიკის ობიექტზეც წარმომადგენელი, რომელიც ჩართული იქნება პროცესში.

საბჭოს წევრმა, გიორგი გამყრელიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს კომპეტენტური ექსპერტული ინფორმაციის მოწოდებისთვის და თქვა, რომ ამ პროგრამის არსებული ხარვეზები ძალიან ჰგავს წინა პროგრამის ხარვეზებს და შესაბამისად შეუძლია თქვას, რომ ექსპერტის მიერ გაკეთებული პრეზენტაცია საფუძველია იმისა, რომ დიდ პრობლემასთანაა საქმე. პირველი არის სათაური, ვსაუბრობთ მსხვილფეხა საქონელზე, როგორც პროგრამაშია აღწერილი და ამავდროულად ვსაუბრობთ იმაზე, რომ ზოგადად საქონელზეა საუბარი. მეორე, საკითხი - 1.6 1.7. ქვესტანდარტი, რაც ულუფის შედგენასთან არის დაკავშირებული და ამავდროულად საკითხი, რომელიც დროსთან არის აცდენილი, როგორც თქვით, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე

დიდი პრობლემა იმიტომ, რომ ყველა პროგრამას აქვს თავისი ამოცანა. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ამ პერიოდში ეს ამოცანა შეუსრულებელია, ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა. მესამე საკითხი-დროში მიუღწევადობა, დროში ვერ მოხერხდება. შემდეგი საკითხია -თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას აძლევს ერთი და იგივე ადამიანი. შეუძლებელია, ეს ადამიანი შეიძლება ამ ყველაფრის მცოდნეა, მაგრამ ძნელია ამას ერთი ადამიანი აკეთებდეს. არ არის მიზანშეწონილი. ჩამოთვლილი ხუთი საკითხი დიდ კითხვის ნიშანს უჩენს და ეს წინა პროგრამაშიც აღნიშნა და ძალიან მსგავსია აქაც. ალბათ, მნიშვნელოვანი იქნება ამაზე მსჯელობა ცალკე ჯგუფშიც მოხდეს, როგორც წინა შემთხვევაში მოხდა- განხილვა.

საბჭოს წევრმა, ნათია კვიციანმა შენიშნა, რომ კვებასთან დაკავშირებით იყო გაკეთებული ხაზგასმა ექსპერტის მიერ, რადგან შეუძლებელია, რომ პროგრამის საფუძვლის შედეგად მიიღო ისეთი კომპეტენცია, რომ სწორად მოახერხო საქონლის კვება. ეს კვების ტექნოლოგიის დონეზეა და ფიქრობს, ცოტა ამბიციური იქნება ასეთი პროგრამის მიერ ასეთ შედეგზე გასვლა.

ექსპერტი დაეთანხმა და თქვა, რომ თვითონაც ასე ფიქრობს. ეს არის კვების ტექნოლოგიის თემა და დიდი პროგრამები, რომელიც შეიქმნა პროფესიული განათლებისთვის და ხარისხის ცენტრში არის დადასტურებული, მეოთხე საფეხურის პროგრამებია, იქ არის ასეთი ჩანაწერი - ერთ-ერთი სწავლის შედეგი. ამაზე დიდხანს იყო მსჯელობა ულუფის შედგენა ყოფილიყო თუ არა პროფესიულის დონის კომპეტენცია. თუმცა იქ მანამდე ისწავლება სხვა, ძალიან ბევრი მოდული და წინაპირობები იქმნება იმისთვის, რომ შემდეგ რაღაც დონეზე ულუფის შედგენის ვალდებულება და კომპეტენცია მიენიჭოს ამ კურსდამთავრებულს. ამ შემთხვევაში წინაპირობაში პროგრამით მითითებული არის ასეთი რამ, რომ პრაქტიკული გამოცდილება უნდა ჰქონდეს სოფლის მეურნეობაში. მაგრამ პრაქტიკული გამოცდილება სოფლის მეურნეობაში შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, მაგრამ საერთოდ არ ჰქონდეს შეხება მეცხოველეობაში საკვებ წარმოებასთან. აქ საჭიროა კონკრეტულად საკვებწარმოებაში მქონე პრაქტიკული გამოცდილება და მერე უკვე დაშენება შესაძლებელი იქნებოდა, თუმცა ის დრო, რომელიც არის მითითებული, საკმაოდ მცირეა ამისთვის და უფრო სხვანაირად შეიძლებოდა აღწერილიყო სწავლის შედეგები და არ ჩავრეულიყავით ტექნოლოგიების საკითხებში, იმიტომ რომ ამ უნარის გამომუშავებას სჭირდება სხვადასხვა საკითხის შესწავლა- ნივთიერებების, ასევე ასაკობრივი ჯგუფების ცოდნა, თვითონ ცხოველის ფიზიოლოგიის ცოდნა და საკმაოდ ღრმა თეორიული ცოდნაა საჭირო იმისთვის, რომ შევადგინოთ ულუფა. თვლის და ეთანხმება, რომ სწავლის ეს შედეგი არის ზედმეტი, მესამე დონის გადამზადების პროგრამისთვის.

საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ მესხიშვილმა აღნიშნა, რომ გაეცნო ექსპერტის რეკომენდაციებს. რაც შეეხება ულუფის მომზადებას, ინტერნეტით მოიძია ინფორმაცია, ძალიან კარგი სახელმძღვანელო. ამ სახელმძღვანელოს ერთ-ერთ თავში არის საკმაოდ ბევრი საინტერესო და საკმაოდ კარგად ჩაშლილი თემატიკა. ხარისხიანი საკვები, მისი მნიშვნელობა სახეობების მიხედვით. აქ არის ასევე ბევრი სხვა თემატიკა. ფიქრობს, პროგრამაში თემატიკა საკმაოდ არ არის ჩაშლილი, თუმცა ამ სახელმძღვანელოში, ბევრი საკითხი ერთმანეთს უკავშირდებოდა ძალიან კომპაქტურად. გადამზადების პროგრამისთვის, როცა ადამიანებს გარკვეული გამოცდილება აქვს რამდენად თვლის ექსპერტი, რომ ეს შედეგი ხარვეზად შეიძლება იყოს აღქმული. სახელმძღვანელოში იმდენად კარგად, მოკლედ და კომპაქტურად არის წარმოდგენილი მასალა, რომ ეს შეიძლება გახდეს ამ პროგრამის ხარვეზი.

ექსპერტმა განმარტა - სახელმძღვანელო ბევრი რამის არსებობს, მაგრამ აქ საუბარია იმაზე, რომ ამ დროში რამდენად მიღწევადია და რამდენად რეალურია ამ ყველაფრის განხორციელება და ეს არის თუ არა მესამე დონის სპეციალისტის კომპეტენცია. სახელმძღვანელო არა ერთია კარგი

და თვითონაც არის რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი, რომელიც შემუშავდა და ძალიან კარგი რეკომენდაციები შეიძლება იქიდან ავიღოთ. უბრალოდ დროში არარეალურია და მესამე დონის კომპეტენციას არ შეესაბამება.
საბჭოს წევრის კითხვა იყო -ანუ პრობლემა უფრო დონესთან დაკავშირებით არის თუ ულუფასთან? რაზედაც ექსპერტმა უპასუხა - პრობლემა არის 12 საათში შეუძლებელია ამის მიღწევა. ამასთან ერთად პროგრამაში წინაპირობად მითითებულია სოფლის მეურნეობის სპეციალისტი. შეიძლება ის ადამიანი მეხილე იყოს და შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეს შეხება საკვებწარმოებასთან და მისთვის ეს იქნება ძალიან გაუგებარი. მაშინ შერჩევის წინაპირობები უნდა იყოს ჩამოყალიბებული ლაკონურად და უფრო კონკრეტულად რა ტიპის კადრებს ვარჩევთ, თუ საკვებწარმოების სპეციალისტების მომზადება გვინდა, ამ შემთხვევაში კიდევ შეგვიძლია ამ თემაზე ვისაუბროთ, საკვებწარმოების სპეციალისტი თუ გადაემზადება აი ამ პროგრამის საშუალებით, ამაზეა საუბარი.

დაწესებულების წარმომადგენელი ჩაერთო და დაამატა, რომ როგორც ექსპერტმა აღნიშნა, რეკომენდაციები გაითვალისწინეს. ეთანხმება, რომ რამდენიმე ადგილზე ჰქონდათ ჩარჩენილი ჩანაწერი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნაცვლად, სასოფლო სამეურნეო ცხოველი, მაგრამ ეს ჩანაწერი გასწორებულია დრაფტში, რომელიც ექსპერტს გადაუგზავნეს. ასევე დაკონკრეტდა პროგრამის შინაარსშიც და სწავლის შედეგებშიც, ყველგან არის ჩანაწერი მხოლოდ მსხვილფეხა რქოსანი საქონლის შესახებ. რაც შეეხება კვებას, გაიარეს დარგის სპეციალისტთან ეს საკითხი და გაზარდეს ხანგრძლივობა ამ საკითხის შესწავლისა და თანაც დააკონკრეტეს. მათ ესმით რათქმა უნდა, რომ ულუფის შედგენა ძალიან დიდი და მსხვილი საკითხია სხვადასხვა ცხოველისთვის, მაგრამ კონკრეტულად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის და კონკრეტული ფერმის მაგალითზე, როგორც ეს მათ ჩაწერეს რეკომენდაციის გათვალისწინებით, უკვე მიღწევადია იმ დროში, როგორც წარადგინეს. ფიქრობენ, იმ რეკომენდაციებით, როგორც წარადგინეს ახალი დრაფტი, აღარ იქნება ეჭქვეშ დაყენების საშუალება, რომ პროგრამა განხორციელდეს წარმატებით. რაც შეეხება მასწავლებელს, ერთი მასწავლებელი ჰყავთ, იმიტომ რომ დამსაქმელის მხრიდან იყო მოთხოვნა კოლეჯიდან ყოფილიყო თეორიულის და პრაქტიკულის განმახორციელებელიც, რადგან არ ჰყავთ შესაბამისი კადრი, ვინც შეიძლება განახორციელოს და პირიქით, ისინი მათთან თანამშრომლობენ იმის გამო, რომ თავისი კადრი გადაამზადონ, კვალიფიკაცია აუმაღლონ და თვითონაც განვითარდნენ. ამ ეტაპზე კოლეჯს ორი მასწავლებლის რესურსი არ გააჩნია. დანარჩენი რეკომენდაციები, ყველაფერი გასწორებულია.

ნინო ტალიაშვილმა თქვა, რომ ქალბატონმა ლელამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა მეტ-ნაკლებად პროგრამაში, საათები გაიზარდა, ალბათ შედეგებშიც განხორციელდა ცვლილებები. რამდენი საათი იყო და რამდენი გახდა? დაინტერესდა კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ის ზოგადი ჩანაწერი, რაც იყო დარჩენილი - სასოფლო სამეურნეო საქონელი, ეს შეიცვალა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჩანაწერით. პროგრამის სრული ხანგრძლივობა არ შეუცვლიათ, გაიზარდა მხოლოდ ხანგრძლივობა რაც კვებას ეხებოდა. დაკონკრეტდა კვების ულუფის შესწავლა მსხვილფეხა რქოსან პირუტყვთან. ორი კვირა დაუთმეს, 24 საათი. იყო საკითხები, სადაც შეიძლებოდა უფრო შეკუმშულიყო, ანუ სხვა საკითხი შეიკუმშა. დარგის სპეციალისტთან ერთად გაიარეს ეს საკითხი.

კითხვები აღარ იყო და საბჭოს წევრები სათათბიროდ გავიდნენ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები და უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა- ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა და კვება /00470 - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად,
ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადს“ (ს/კ: 217890192) უარი ეთქვას განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა -მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა და კვება /00470

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, თუ რომელიმე წევრს სურს განუმარტოს დაწესებულებას, მიცემს შესაძლებლობას, აქვე სხდომაზე განუმარტოს და რეკომენდაციები გასცეს.

საბჭოს წევრმა ნინო ტალიაშვილმა დაწესებულებას მოკლედ განუმარტა, რომ ბევრი იმსჯელეს. საბჭოს ყველა წევრი იყო ჩართული და ძირითადი პრობლემა, ხარვეზი, რაზეც უარი ეთქვათ, ეს არის ამ პროგრამის კონტენტი, ანუ შინაარსი. პროგრამა უნდა იყოს უფრო კარგად გააზრებული და პროგრამის სათაური, შინაარსი, მიზნები, სწავლის შედეგები უნდა იყოს ერთმანეთთან შესაბამისობაში. ეს არის ერთი უწყვეტი ჯაჭვი. როგორც ითქვა, პროგრამის ვერსიაში სადაც რეკომენდაციები გაზიარებულია, ხანგრძლივობა უცვლელი დარჩა და გარკვეული საათები კონკრეტული სასწავლო კვირიდან ამოიღეს და დაუმატეს სხვა სასწვლო კვირაში, ერთს მოაკლდა და მეორე აქტივობას დაემატა. ასეთი ჩარევები, მიზანშეწონილი არ არის. პროგრამის შემუშავებისას კარგად უნდა გაიაზრონ, კარგად გათვალონ შესაძლებლობები. ანუ, რეალურად უნდა იმუშაონ პროგრამის კონტენტზე. ასევე ერთ პროგრამის განმახორციელებელს რაც შეეხება, ეს საკითხიც გადასახედია. რეალურად რამდენად არის საკმარისი მხოლოდ ერთი პირის ჩართვა პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, გასაგებია, მაგრამ მექანიკურად არ მოუკლიათ საათები, გაითვალისწინეს ექსპერტის შენიშვნა. მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე როცა გააკეთეს სწავლის შედეგი, აღარ უწერიათ სასოფლო-სამეურნეო, შესაბამისად ამ თემას უფრო ნაკლები დრო სჭირდება და აქედან გამოთავისუფლებული დრო დაუმატეს იმ სწავლის შედეგს, რომელზეც იყო ლაპარაკი, რომ იყო ცოტა დრო და შესაბამისად, გაზარდეს. ეს გაიარეს დარგის სპეციალისტთან. რაც შეეხება ადამიანურ რესურს, არ არიან განებივრებული ამ სახის სპეციალისტებით, ძალიან ჭირს ამ მიმართულების რესურსი. ეს უნდა წაიკითხოს ზოოტექნიკოსმა, ვეტერინარიც კი ვერ წაიკითხავს ამ პროგრამას და სწორედ ასეთი ადამიანი ჰყავთ სპეციალისტად. დიდი ხანია თანამშრომლობენ ,მათ კოლეჯში მუშაობს, მაგრამ ორი მასწავლებლის აყვანა ფიზიკურად შეუძლებელია, ადამიანური რესურსი ძალიან უჭირთ.

საბჭოს წევრმა ნინო ტალიაშვილმა მიმართა - იქნებ პარტნიორმა ორგანიზაციამ გამოყოს ერთი პირი ვინც ჩართული იქნება სასწავლო პროცესში განმახორციელებლად. პროგრამა თავიდან საჭიროებს შემოწმებას, თავიდან საჭიროებს ექსპერტიზას და თავიდან საჭიროებს არსებული მდგომარეობის მიხედვით, ვიზიტის ან ვიზიტის გარეშე მოხდეს ექპერტის მიერ დასკვნის მომზადება. რეალურად განხორციელდა პროგრამაში ისეთი ცვლილებები, რომ საჭიროებს ექსპერტის მხრიდან თავიდან შემოწმებას, სწავლის შედეგების, პროგრამის შემოწმებას და ა.შ. დარგის ექსპერტის გარეშე არ აქვთ კომპეტენცია შეამოწმონ რამდენად მოხდა რეკომენდაციების ასახვა და გამოსწორება. შინაარსობრივ ცვლილებებზეა საუბარი და ამიტომ ეს არის ახალი წარმოების საფუძველი. თავიდან უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება. წარმატებები უსურვა დაწესებულებას და იმედი გამოთქვა, რომ კვლავ იხილავენ საბჭოს სხდომაზე.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანი დალაქიშვილმა დაამატა, რომ ქალბატონი ლელას მიერ განხორციელებული ცვლილებები შესწავლას საჭიროებს, რისი უფლება ქალბატონ თამარს (ექსპერტს) არ ჰქონდა. იმისათვის რომ ეს განხორციელდეს, ახალი წარმოება უნდა შედგეს. ამდენად, სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს ყველა რეკომენდაცია, რაც დასკვნაშია ასახული და ამის შემდეგ პროგრამა შემოიტანონ ხელახლა და მეტი ალბათობით, უკვე დადებით შეფასებას მიიღებენ.

5. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარის“ პროფესიული მომზადების პროგრამა - სამკურნალო მცენარეების მმზადება /00548 - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
წარმდგენები:ინგა ბაქრაძე, ნინო ბაბალაშვილი

საჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, იცნობდნენ თუ არა საბჭოს წევრები ექსპერტთა დასკვნას და წარმოების მასალებს, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო და სთხოვა წარმდგენებს, ყურადღება გაამახვილონ ხარვეზებსა და რეკომენდაციებზე.

ინგა ბაქრაძემ წარადგინა საბჭოზე პრეზენტაცია. სსიპ კოლეჯი „ოპიზარის'' მიერ 2020 წლის 13 მარტს, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, წარმოდგენილი იქნა განაცხადი პროფესიული მომზადების პროგრამის „სამკურნალო მცენარეების დამზადება“ განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ. 2020 წლის 22 აპრილს, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლ პირებთან დისტანციურად განხორციელდა ონლაინ ჩართვა. წარმოდგენილი პროგრამის და სხვა განაცხადით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლის საფუძველზე დარგის ექსპერტმა დასვა საქმის წარმოების პროცესში წამოჭრილი ყველა კითხვა პროგრამისა და მის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის შესახებ. გასაუბრება შედგა პროგრამის განხორციელების ადმინისტრირების საკითხებზეც. ასევე, პირდაპირი ჩართვის რეჟიმში, მოხდა პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯის ბაზაზე არსებული A და C გარემოს დათვალიერება. სტანდარტების სრულყოფილად შესაფასებლად გამოთხოვილ იქნა სხვა დამატებითი დოკუმენტაცია და ფოტომასალაც. ეს არის მომზადების პროგრამა, კოდი - 00548, სახელწოდებაა - სამკურნალო მცენარეების დამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით დონე არის - მესამე, ხანგრძლივობა -22 კვირა, სასწავლო ენა-ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა-20, მისამართი- ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N 111. კოლეჯი 2007 წლიდან ახორციელებს პროფესიულ- საგანმანათლებლო პროგრამას - „მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული)“, რომელიც ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. ამ პროგრამის კურსდამთავრებულები აქტიურად არიან ჩართული ძირითადად, კერძო სექტორში. სამკურნალო მცენარეებზე მოთხოვნილება

დღითი-დღეიზრდება. ამის დასტურია ის, რომ ახალციხის რაიონის ტერიტორიაზე 2014 წელს გაიხსნა სამკურნალო მცენარეთა საშრობ-დამახარისხებელი საწარმო „გეო-ფლაუერი“, სადაც ხარისხდება, შრება და ფასოვდება რამდენიმე სახის სამკურნალო მცენარე. მისი პროდუქცია იგზავნება როგორც საქართველოს მაშტაბით, ასევე გადის ევროპის ქვეყნებში. აქ ძირითად დასაქმებულნი არიან კოლეჯის სტუდენტები. სამომავლოდ იგეგმება ახალი საწარმოს გახსნა, რისთვისაც დგება საჭიროება კვალიფიციური კადრების მომზადების. სწორედ ზრდასრულთა განათლების მომზადების პროგრამის „სამკურნალო მცენარეების დამზადება“- მიზანია მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება შრომის ბაზრისათვის. სამცხე-ჯავახეთი ეკოლოგიურად სუფთა რეგიონია. იგი მდიდარია სამკურნალო მცენარეებით და მათი მრავალფეროვნებით. მან, როგორც დარგის ექსპერტმა დოკუმენტაცია შეისწავლა მაქსიმალურად გულდასმით, გამოითხოვა ფოტო-სურათები, ჰქონდა ვიდეო ჩართვაც დასათვალიერებლად და არ აქვთ რეკომენდაცია.

გამოვლინდა ხარვეზი 2.4 ქვესტანდარტთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მიხედვით შენობის მდგომარეობა არა დამაკმაყოფილებელია. თუმცა აღმოჩნდა, რომ გაუგებრობა მოხდა.

ნინო ბაბალაშვილმა განმარტება გააკეთა, თავდაპირველად როცა შემოვიდა განაცხადი, თან ერთვოდა ცნობა შენობის მდგრადობის შესახებ, რომელიც არ იყო დადებითი და მთელი რიგი რეკომენდაციები იყო გაწერილი. ვიდეო ჩართვის დროსაც ეს იყო გაჟღერებული და დაწესებულებას უთხრეს, რომ დასკვნა არ იყო დადებითი. აღმოჩნდა რომ, ტექნიკურად აერიათ ფაილები და დაწესებულებამ კვლავ ოფიციალურად გადმოაგზავნა ახალი დოკუმენტი, რომელიც იგივე თარიღით თარიღდება და ამ შემთხვევაში ეს ვერსია არის სრულებით დადებითი. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, განაცხადის შემოტანის სრულ პაკეტში ტექნიკურად შეეშალათ და სხვა ფაილი იდო, შემდეგ სწორი ფაილი ხელმეორედ გამოიგზავნა.

ნინო ბაბალაშვილმა შემდეგ ისაუბრა მეორე და მესამე სტანდარტის საკითხებზე. სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში წარმოდგენილი აქვთ მიმოწერა და რამდენიმე რეკომენდაცია. უმეტესობა არის გამოსწორებული და დამადასტურებელი მტკიცებულებები, ფოტოები გადმოაგზავნეს. ორი რეკომენდაციაა დარჩენილი, რომლის გამოსწორების ვადა 2020 წლის ივლისამდე აქვთ და ამაზე მუშაობენ, როგორც დაწესებულებამ აღნიშნა. მესამე სტანდარტში ყველაფერი წესრიგში იყო. შენიშნა, რომ ხარისხის მექანიზმები ჰქონდათ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური და დუალური პროგრამებისთვის და კონკრეტულად არ იყო რელევანტური პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებისთვის. ამაზე თქვეს, რომ მუშაობდნენ და ესეც გადმოაგზავნეს, დასრულებული ვერსია. თუმცა მოგეხსენებათ დასკვნა მოიცავს მესამე ვარიანტსაც, რომ ვიზიტის პერიოდში რაღაც ქვესტანდარტები ვერ ფასდება იმ დროისთვის, გამოცდილების არ არსებობის გამო და ამიტომ მოინიშნა მესამე ვარიანტი, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობდა მუშაობა. დაწესებულებამ გამოგზავნა ვერსია, ნამდვილად რელევანტურია, ასევე მას ერთვის სტუდენტთა შეფასებისა და გამოკითხვის ფორმებიც და სურვილის შემთხვევაში შეუძლია დეტალურად წარუდგინოს საბჭოს.

შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა ადამიანურ და მატერიალურ რესურსზე. პროგრამის განმახორციელებელი სამი პირი ჰყავთ. პრაქტიკის ობიექტს რაც შეეხება, იქ დახვდებათ ინსტრუქტორი, რომელიც ხელშეკრულების შესაბამისად, უსაფრთხოების წესების დაცვით ასწავლის. გასაუბრების დროს გამოიკვეთა განმახორციელებელი პირების კომპეტენტურობა, ამ პროგრამის მიმართ. ამ განმახორციელებლებს გამოცდილება აქვთ, მსგავსი პროგრამების განხორციელების. პროგრამა უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსებით, შედეგების

მიხედვით დალაგებული აქვთ და დაკომპლექტებული. ძირითად შედეგს გადიან კოლეჯში. გარემოს თვალსაზრისით აქვთ ერთი A გარემო და სამი C გარემო. ერთი C გარემო არის თითონ კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთი, მეორე ნაკვეთი-ველურად მზარდ მცენარეებისათვის და მესამე პრაქტიკის ობიექტზე არსებული. პრეზენტაციის დროს წარმოადგინეს ფოტო მასალა. ნახეს A გარემოც, თავისი აღჭურვილობით. კომპანია ,,გეო-ფლაუერის" ფოტოებიც აჩვენეს, სადაც ჭინჭრის დამუშავება მიმდინარეობდა, ასევე უსაფრთხოების კუთხის ფოტო. მათ ინდივიდუალური საჭიროებისათვის გამოყოფილი ჰყავთ სამი სპეციალისტი, თუ საჭირო იქნება ინდივიდუალურ გეგმებს შეადგენენ. ფაქტობრივად, რომ შეჯამდეს, ერთადერთი ხარვეზი იყო წარმოდგენილ განაცხადში, ეს იყო შენობის მდგრადობა და ისიც გამოსწორებულია.

ნინო ბაბალაშვილმა საბჭოს წარუდგინა შენობის მდგრადობის დასკვნის სწორი დოკუმენტი, რომელიც გაცემული იყო სსიპ-აკრედიტაციის ერთიანი ორგანოს ინსპექტირების ცენტრიდან. თვითონ ორგანიზაციას აერია და ერთი და იგივე დღეს სხვადასხვა დასკვნა აქვს გამოგზავნილი. როგორც ითქვა, თანამშრომელმა ატვირთა შეცდომით.
დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა განმარტება, როგორც კი მიიღო დასკვნა, ეჭვი არ შეპარვია, რომ დადებითი იქნებოდა, იმდენად აღფრთოვანებული წავიდნენ, როცა იყვნენ შენობის შემოწმებაზე. ისინი იმ დღეს სხვა ადგილზეც იყვნენ შემოწმებაზე. შეცდომით მოხდა დასკვნის გადმოგზავნა. ამიტომ ძალიან დაიბნა, როცა უთხრეს პრობლემა გაქვთო და როცა დაურეკა იმ ორგანიზაციას, მაშინვე გადმოაგზავნეს მათი დასკვნა. ატვირთვის დროს პირველი ვარიანტი შეცდომით აუტვირთია რეესტრის სპეციალისტს.

დამატებით, ნინო ბაბალაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ხარისხის მექანიზმები გააკეთა ახალი, რაც დასკვნაში ქონდათ და ინტერვიურების დროს თქვეს, რომ სანამ სწავლა დაიწყებოდა და მიიღებდნენ მსმენელებს, აუცილებლად გააკეთებდნენ და იქიდან გამომდინარე, რომ ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი სულ ახლახანს აიყვანეს, არ ელოდებოდნენ ასე მალე დოკუმენტის წარმოდგენას, უკვე გასწორებული დოკუმენტი გადმოგზავნეს, თუმცა ეგ ხარვეზი არ ყოფილა. რეკომენდაცია იყო ცალკე ყოფილიყო გაწერილი კონკრეტულად მომზადება/გადამზადების პროგრამებისთვის და ესეც გააკეთეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ ეს სპეციალობა მათთვის სულერთი არ არის. ძალიან დიდი გამოცდილება აქვთ. 2007 წლიდან, ფაქტიურად მხოლოდ ისინი ახორციელებენ ამ პროგრამას და მათთვის ძალიან ახლოა ეს პროგრამა. მითუმეტეს სამცხე-ჯავახეთში არის ისეთი ენდემური ჯიშის მცენარეები, რომლის დაკარგვაც არ უნდათ.

საბჭოს წევრმა, თამაზ ბახტაძემ კომენტარი გააკეთა და დაეთანხმა ქალბატონ ბელას, იმაში, რომ ეს პროგრამა მართლა ძალიან დიდი ხანია ხორციელდება. მოთხოვნადი და დასაქმებადი იყო, მათ შორის ეს მოკლევადიანი პროგრამა დამატებით იქნება და მისი განხორციელება მნიშვნელოვანი იქნება სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის. მისი მხრიდან პროგრამის განხორციელების თაობაზე მხარდაჭერა გამოხატა.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ და საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ოპიზარის" პროფესიული მომზადების პროგრამა - სამკურნალო მცენარეების მმზადება /00548 - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,
სსიპ კოლეჯ „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სამკურნალო მცენარეების დამზადება /00548 **(დანართი3).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 19:40 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული მომზადების/პროფესიული
გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი
საბჭო
საბჭოს მდივანი
ტალიაშვილი ნინო

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნულ იკვალიფიკაციებისჩარჩოსდონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00302	ელექტრო-რკალური შედუღება	მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №28
00301	არმატურისა და ბეტონის ნაკეთობის დამზადება მშენებლობაზე	მომზადება	მეორე	18	ქართული	40	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №28
00303	თაბაშირ-მუყაოს ფილებით სამონტაჟო სამუშაოების შესრულება	მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №28
00304	ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება	მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №28
00305	მშენებლობაზე ქარგილების, კარ-ფანჯრისა და იატაკის მოწყობა	მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №28
00306	საკალატოზო სამუშაოების შესრულება	მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №28
00307	სხვადასხვა სახის ზედაპირების ფილებით მოპირკეთება	მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №28
00310	სხვადასხვა ტიპის ზედაპირებზე სამღებრო სამუშაოების წარმოება	მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №28

00311	შენობაში წყალსადენი სისტემების მონტაჟი	მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №28
00308	სხვადასხვა სახის საბათქაშე სამუშაოების წარმოება	მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №28
00309	სხვადასხვა სახის სახურავის მოწყობა	მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №28

დანართი 2

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსდონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
00468	საბათქაშე სამუშაოების შესრულება	გადამზადება	მესამე	8	ქართული	20	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2

დანართი 3

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსდონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
00548	სამკურნალო მცენარეების დამზადება	მომზადება	მესამე	22	ქართული	20	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №111